დამტკიცებულია
შპს „მწვანე სკოლა დიდი დიღმის“
დირექტორის ბრძანებით

მასწავლებლის ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესი

თბილისი

მასწავლებლის ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. წინამდებარე წესი ადგენს შპს „მწვანე სკოლს დიდი დიღმის“ (შემდგომში - სკოლა) მასწავლებლის/მასწავლებლობის მაძიებლის საქმიანობის დაწყების, მათ შორის, კონკურსის ჩატარების წესსა და პირობებს, კონკურსის ეტაპებს, საკონკურსო კომისიის (შემდგომში – კომისია) საქმიანობის წესსა და უფლებამოსილებებს.
2. წინამდებარე წესი არ ვრცელდება მოწვეული ან/და შემცვლელი მასწავლებლის ვაკანსიაზე. აღნიშნულ პოზიციებზე მასწავლებელი დასაქმდება დირექტორის გადაწყვეტილებით კონკურსის გარეშე.

მუხლი 2. კონკურსის მიზანი

კონკურსის მიზანია ვაკანტური საათების მოთხოვნათა გათვალისწინებით შესაბამისი კანდიდატის შერჩევა. კერძოდ, კანდიდატის კვალიფიკაციის, ცოდნის, პროფესიული უნარ-ჩვევების, პიროვნული თვისებების შეფასება და ვაკანტური საათების დასაკავებლად დადგენილ სავალდებულო სხვა მოთხოვნებთან შესაბამისობის განსაზღვრა.

მუხლი 3. კონკურსის პრინციპები

კონკურსის პრინციპებია:

ა) **ობიექტურობა** - კონკურსის პროცედურები უნდა იყოს არადისკრიმინაციული და მაქსიმალურად გამოირიცხოს სუბიექტური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა;

ბ) **გამჭვირვალობა** - გამოყენებული პროცედურები, მეთოდები და შეფასების კრიტერიუმები უნდა იყოს ნათლად ფორმულირებული, გასაგები და აღქმადი ყველა კანდიდატისათვის;

გ) **კოლეგიურობა** - კონკურსი უნდა ჩატარდეს ვაკანტური საათების დასაკავებლად დადგენილ სავალდებულო მოთხოვნათა გათვალისწინებით, შესაბამისი კანდიდატის შერჩევა უნდა განხორციელდეს საკონკურსო კომისიის (შემდგომში კომისია) მიერ;

დ) **კორექტულობა** - კონკურსის ჩატარების ფორმები და მეთოდები, დასმული შეკითხვები უნდა იყოს აღქმადი და კორექტული. კომისია უნდა იყოს კეთილგანწყობილი და არ ახორციელებდეს კანდიდატზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას.

მუხლი 4. კონკურსის ჩატარების წესი

1. სკოლაში საგნის ვაკანტური საათების არსებობის შემთხვევაში, ვაკანსია შეივსება კონკურსის საფუძველზე.
2. კონკურსის ჩატარების ეტაპები შეიძლება იყოს:
ა) განაცხადების გადარჩევა;
ბ) გასაუბრება;
გ) საჩვენებელი გაკვეთილის ჩატარება (საჭიროების შემთხვევაში);
დ) ტესტირება (საჭიროების შემთხვევაში);
ე) კონკურსის შედეგების განსაზღვრა.
3. კონკურსის ეტაპები დგინდება შესაბამის ვებ-გვერდზე განთავსებული საკონკურსო განაცხადით.
4. სკოლა უფლებამოსილია, გამოაცხადოს კონკურსი იმ პოზიციაზე, რომელიც კონკურსის გამოცხადების მომენტისათვის არ არის ვაკანტური, მაგრამ არსებობს დადასტურებული საფუძველი, რომ აღნიშნული პოზიცია კონკურსის დასრულებამდე გახდება ვაკანტური.
5. სკოლაში კონკურსის გამოცხადება ხდება დირექტორის ბრძანებით, რომლითაც, ასევე განისაზღვრება კონკურსის ვადები, პირობები და სხვა.
6. ობიექტური მიზეზის არსებობის შემთხვევაში, სკოლა უფლებამოსილია, შეწყვიტოს გამოცხადებული კონკურსი ნებისმიერ ეტაპზე, კანდიდატისათვის კომისიის საბოლოო გადაწყვეტილების გაცნობამდე.

მუხლი 5. კონკურსის გამოცხადების წესი

1. შიდა კონკურსი:
ა) შიდა კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს მხოლოდ შესაბამის სკოლაში დასაქმებულ მასწავლებელს.
ბ) შიდა კონკურსით ვაკანტური საათების ვერ შევსების შემთხვევაში, სკოლის დირექტორი უფლებამოსილია, გამოაცხადოს ღია კონკურსი. თუმცა, შესაძლებელია დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე, სკოლაში მასწავლებლის ვაკანტური პოზიცია შეავსოს შიდა კონკურსის გამოცხადების გარეშე, ღია კონკურსის მეშვეობით.
2. ღია კონკურსი:
2.1 ღია კონკურსის შესახებ განაცხადი უნდა გამოქვეყნდეს საჯაროდ, ინტერნეტსივრცეში არსებულ დასაქმების ვებგვერდზე - http://teacherjobs.ge.
2.2 კონკურსის შესახებ განაცხადი უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:
ა) სკოლის დასახელება;
ბ) ვაკანტური თანამდებობის დასახელებას და საგნის/კლასის მითითებას;
გ) კანდიდატის მიმართ წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
დ) შესაბამისი სკოლის საკონტაქტო ინფორმაციას;
ე) სამუშაოს დაწყების თარიღს;
ვ) განცხადების წარდგენის ბოლო ვადას;

ზ) კონკურსის ეტაპების შესახებ ინფორმაციას;
თ) წარსადგენი დოკუმენტაცია.
ი) სხვა ინფორმაციას სკოლის გადაწყვეტილებით.
3. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ ქმედუნარიან ფიზიკურ პირს, რომელიც არ არის ნასამართლევი (მათ შორის სქესობრივ დანაშაულებში), არ აქვს სკოლაში მუშაობის უფლება შეზღუდული, ფლობს სახელმწიფო ენას და აკმაყოფილებს ვაკანტური საათების დასაკავებლად დადგენილ სავალდებულო მოთხოვნებს.
4. კომისიის მიერ ხდება წარდგენილი განაცხადების გადარჩევა და შერჩეული კანდიდატების გასაუბრებაზე დაბარება.
5. განცხადებების წარდგენის ვადა განისაზღვრება სკოლის დირექტორის ბრძანებით, რომელიც არ შეიძლება იყოს 5 კალენდარულ დღეზე ნაკლები.

მუხლი 6. კონკურსში მონაწილეობისათვის განაცხადების წარდგენა

1. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა განაცხადი უნდა წარადგინოს დასაქმების ვებგვერდზე teacherjobs.ge-ზე.
2. ვაკანტური საათების დასაკავებლად მასწავლებლობის კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:
ა) პირადობის მოწმობის ასლი;
ბ) სამოტივაციო წერილი;
გ) შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
დ) სქემით განსაზღვრული სტატუსის მინიჭების დამადასტურებელი სერთიფიკატის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
ე) ინფორმაცია სამუშაო გამოცდილების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
ვ) ინფორმაცია/ცნობა შესაბამისი საგნის გამოცდის ჩაბარების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
3. მასწავლებლობის მაძიებლობის მსურველი პირი მასწავლებლობის მაძიებელთა სასურველ ვაკანსიაზე განაცხადს ავსებს ელექტრონული სისტემის მეშვეობით (teacherjobs.ge) და ტვირთავს შემდეგ დოკუმენტაციას:
ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
ბ) ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნის/საგნობრივი ჯგუფის მიმართულებით არანაკლებ ბაკალავრის დიპლომი ან/და სასპორტო პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (სასპორტო საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლის შემთხვევაში);
გ) სამოტივაციო წერილი;
დ) ინფორმაცია სამუშაო გამოცდილების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
ე) ინფორმაცია/ცნობა შესაბამისი საგნის გამოცდის ჩაბარების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

4. თითოეული კონკურსის გამოცხადებისას შესაძლებელია ინდივიდუალურად განისაზღვროს სამუშაო გამოცდილების ვადა, სხვა დამატებითი მოთხოვნები და მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

5. ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაციის არასრულად წარმოდგენის შემთხვევაში კანდიდატი ვერ გადავა გასაუბრების ეტაპზე.

6. ვაკანტურ საათებზე მასწავლებლობის კანდიდატი (გარდა ხელოვნებისა და ფიზიკური აღზრდა და სპორტისა) უნდა აკმაყოფილებდეს მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს და ერთ-ერთ შემდეგ მოთხოვნას:

ა) უნდა ჰქონდეს მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად მინიჭებული განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხი (ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების სწავლების უფლების მითითებით);

ბ) უნდა ჰქონდეს განათლების მიმართულებით მაგისტრის აკადემიური ხარისხი (ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების სწავლების უფლების მითითებით) და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დადასტურებული საგნობრივი კომპეტენცია;

გ) უნდა ჰქონდეს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნის/საგნობრივი ჯგუფის შესაბამისი ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გავლილი უნდა ჰქონდეთ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა და უნდა ჰქონდეთ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დადასტურებული საგნობრივი კომპეტენცია;

დ) უნდა ჰქონდეს მასწავლებლობის უფლება უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დადასტურებული საგნობრივი კომპეტენცია;

ე) უნდა ჰქონდეს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი საგნის ან განათლების მიმართულებაში შემავალი დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

ვ) უნდა იყოს 2015 წლის 1 იანვრამდე სერტიფიცირებული პირი;

ზ) უნდა იყოს სქემაში ჩართული მინიმუმ უფროსი მასწავლებელის სტატუსით.

7. ფიზიკური აღზრდა და სპორტის ვაკანტურ საათებზე მასწავლებლობის კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს და ერთ-ერთ შემდეგ მოთხოვნას:

ა) უნდა ჰქონდეს სრული ზოგადი განათლება და სასპორტო პროფესიული განათლება და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გავლილი მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა;

ბ) უნდა ჰქონდეს შესაბამისი სასპორტო უმაღლესი განათლება და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გავლილი მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა;

გ) უნდა იყოს 2015 წლის 1 იანვრამდე სერტიფიცირებული პირი;

დ) უნდა იყოს სქემაში ჩართული მინიმუმ უფროსი მასწავლებელის სტატუსით.

8. ხელოვნების ვაკანტურ საათებზე მასწავლებლობის კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს და ერთ-ერთ შემდეგ მოთხოვნას:

ა) უნდა ჰქონდეს შესაბამისი სახელოვნებო უმაღლესი განათლება და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გავლილი მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა;
ბ) უნდა იყოს 2015 წლის 1 იანვრამდე სერტიფიცირებული პირი;
გ) უნდა იყოს სქემაში ჩართული მინიმუმ უფროსი მასწავლებელის სტატუსით.
9. თუ საკონკურსო კომისიამ ვერ შეარჩია ამ მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისი მასწავლებლობის კანდიდატი, სკოლამ შესაძლებელია აიყვანოს პირი **მასწავლებლობის მაძიებლად**, რომელსაც ექნება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნის/საგნობრივი ჯგუფის შესაბამისი ბაკალავრის/მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, თუ მუშაობის დაწყებიდან 2 წლის ვადაში გაივლის მასწავლებლობის მაძიებლობის პროგრამას ან პირი, რომელსაც მასწავლებლობის მაძიებლის სტატუსი აქვს მინიჭებული შესაბამის საგანში (გარდა ხელოვნებისა და ფიზიკური აღზრდა და სპორტისა).
10. თუ საკონკურსო კომისიამ ვერ შეარჩია **ფიზიკური აღზრდა და სპორტის** ვაკანტურ საათებზე ამ მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისი მასწავლებლობის კანდიდატი, სკოლამ შესაძლებელია აიყვანოს პირი **მასწავლებლობის მაძიებლად**, რომელსაც ექნება სპორტის საგნის/საგნობრივი ჯგუფის შესაბამისი ბაკალავრის/მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, თუ მუშაობის დაწყებიდან 2 წლის ვადაში გაივლის მასწავლებლობის მაძიებლობის პროგრამას ან პირი, რომელსაც მასწავლებლობის მაძიებლის სტატუსი აქვს მინიჭებული სპორტის საგნობრივ ჯგუფში შემავალ საგანში.
11. თუ საკონკურსო კომისიამ **ხელოვნების** ვაკანტურ საათებზე ვერ შეარჩია ამ მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისი მასწავლებლობის კანდიდატი, სკოლამ შესაძლებელია აიყვანოს პირი **მასწავლებლობის მაძიებლად**, რომელსაც ექნება სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების/ ამავე საგნობრივი ჯგუფის შესაბამისი ბაკალავრის/მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, თუ მუშაობის დაწყებიდან 2 წლის ვადაში გაივლის მასწავლებლობის მაძიებლობის პროგრამას ან პირი, რომელსაც მასწავლებლობის მაძიებლის სტატუსი აქვს მინიჭებული სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნობრივ ჯგუფში შემავალ საგანში.

მუხლი 7. კომისიის შემადგენლობა

1. კონკურსს ატარებს სკოლის მუდმივმოქმედი საკონკურსო კომისია, რომელიც შედგება აღმასრულებელი დირექტორისაგან, შესაბამისი საფეხურების მენეჯერებისაგან, დამოუკიდებელი მოწვეული სპეციალისტისგან და იმ კათედრის წარმომადგენლისაგან, რომელ საგანშიც ხდება კონკურსის წესით მასწავლებლის შერჩევა.
2. საკონკურსო კომისიას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე, ხოლო სხდომის ოქმს ადგენს მდივანი.

მუხლი 8. კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი და კონკურსის შედეგები

1. კონკურსის დროს კომისია განიხილავს თითოეულ განაცხადს. კანდიდატს კომისია შეარჩევს წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვისა და გასაუბრების გზით. საჩვენებელი გაკვეთილის

ჩატარების შემთხვევაში, კანდიდატის საბოლოო შერჩევა ხდება აღნიშნული გაკვეთილის შეფასების შედეგად. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება კომისიის ოქმით.
2. კომისია გასაუბრების დასრულების შემდეგ კანდიდატების დაუსწრებლად განიხილავს თითოეული კანდიდატის დადგენილ სავალდებულო მოთხოვნებთან შესაბამისობის საკითხს.
3. კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი.
4. კომისიის გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა. კომისიის წევრს უფლება აქვს თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.
5. კომისიის სხდომის ოქმს, ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.
6. სკოლის დირექტორი უზრუნველყოფს კომისიის მიერ წარდგენილ კანდიდატთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმებას.
7. თუ კომისიამ უარი განაცხადა ვაკანტურ ადგილზე დასანიშნად კანდიდატის წარდგენაზე ან ამ ვაკანტურ ადგილზე არ იქნა მიღებული არც ერთი განაცხადი, კონკურსი ითვლება ჩაშლილად. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება კონკურსის ჩაშლის შესახებ ფორმდება შესაბამისი ოქმით.

მუხლი 9. საპრეტენზიო კომისია

1. პირს კომისიის შედეგების გასაჩივრება შეუძლია კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში.
2. კონკურსის პროცედურებისა და შედეგების გასაჩივრებისათვის პირმა განაცხადი უნდა შეიტანოს სკოლის დირექტორის სახელზე, რომელიც ბრძანებით ქმნის საპრეტენზიო კომისიას.
3. საპრეტენზიო კომისია უნდა შედგებოდეს მინიმუმ 3 და მაქსიმუმ 5 წევრისაგან.
4. საპრეტენზიო კომისიას უნდა ჰყავდეს საპრეტენზიო კომისიის თავმჯდომარე და მდივანი. პირი, რომელიც მონაწილეობდა კონკურსის რომელიმე ეტაპის ჩატარებაში, არ შეიძლება იყოს საპრეტენზიო კომისიის წევრი.
5. საპრეტენზიო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება.
6. საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილება მიიღება სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტად ითვლება თავმჯდომარის ხმა. საპრეტენზიო კომისიის წევრს უფლება აქვს თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.
7. საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ საპრეტენზიო კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.
8. საპრეტენზიო განაცხადი განიხილება საპრეტენზიო კომისიის მიერ მისი მიღებიდან არაუმეტეს 5 სამუშაო დღის ვადაში. საპრეტენზიო კომისიამ საკითხის არსებითად განხილვის შედეგად, შეიძლება მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

ა) საპრეტენზიო განაცხადის დაკმაყოფილების შესახებ;
ბ) საპრეტენზიო განაცხადის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე;
გ) საპრეტენზიო განაცხადის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ.

მუხლი 10. კონკურსის შედეგების გასაჩივრება

საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 11. კონკურსის ჩატარების წესის მიღება და მასში ცვლილების შეტანა

1. კონკურსის ჩატარების წესს შეიმუშავებს და ბრძანებით ამტკიცებს სკოლის დირექტორი.
2. კონკურსის ჩატარების წესის მიღება, გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული წესით.